დროის პრობლემა უილიამ ბეროუზის რომანში „შიშველი საუზმე“ (ბიბლიური პარალელები)

ქეთევან ხოხიაშვილი

თსუ ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

უილიამ ბეროუზი ბიტთაობის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი და სულისჩამდგმელია, თუმცა მისი შემოქმედება ბიტნიკების ლიტერატურისგან მაინც გასხვავებული და განზე მყოფია. მისი განათლება და ინტელექტი აშკარად შესამჩნევია მის რომანებში. „შიშველი საუზმე“ 1959 წელს გამოქვეყნდა და ბეროუზის შემოქმედებიდან ყველაზე ცნობილი რომანია. ის არის მწერლის ერთგვარი აღსარება საზოგადოების წინაშე, რომელშიც მოქცეულია მთელი სამყარო.

როგორც პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, რომანი უამრავი სხვა ნაწარმოებისა და პარალელებისგან შედგება, კონკრეტული საკითხების განხილვაც ამ პარალელებზე დაყრდნობით ხდება. დროის საკითხი ბეროუზის შემოქმედებაში ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს და უკავშირდება ამ თემაზე შექმნილ უამრავ სხვა ნაწარმოებს, მათ შორის მრავლად გვხვდება ბიბლიური პარალელები.

მეოცე საუკუნეში ლიტერატურასა და ხელოვნებაში მწვავედ დადგა ადამიანისა და დროის ურთიერთმიმართების პრობლემა და მთავარმა ყურადღებამ ობიექტური დროიდან სუბიექტური დროისაკენ გადაინაცვლა, რამაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი ასახვა პოვა შემოქმედებაში. თუმცა, დროის საკითხის მიმართ კითხვები გაცილებით ადრე, დროის ათვლასთან ერთად გაჩნდა. როგორც ნეტარი ავგუსტინე აღნიშნავს: ბიბლიური ტრადიციის თანახმად, დრო სწორხაზოვანი და დასრულებადია, „ვინ შეაჩერებს კაცის გულს, რათა უძრავად შემდგარმა იხილოს, როგორ განაპირობებს წარსულსაც და მომავალსაც მარად უძრავი მარადისობა, რომლისთვისაც უცხოა წარსულიც და მომავალიც“ (ნეტარი ავგუსტინე. „აღსარებანი“).

დრო დამოუკიდებლად არსებული ობიექტია, რომელიც სამყაროს შექმნასთან ერთად გაჩნდა, ამ საკითხს ნეტარი ავგუსტინე მისი გაერთიანებით ხსნიდა: „ღმერთმა სამყარო შექმნა არა დროში (in tempore), არამედ დროსთან ერთად“ (con tempore). ასე რომ, სამყაროს შექმნის მომენტშივე იწყება მისი ათვლა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ღმერთს ყველაფრის მოსაწყობად 7 დღე დასჭირდა, 7 დღე პირდაპირი თუ პირობითი მნიშვნელობით, რადგან ღმერთისა და ადამიანის დრო განსხვავებულია, მისთვის ერთი წელი ერთი წამია, ხოლო ერთი საუკუნე – ერთი დღე. თუმცა ეს მარტივად შეგვიძლია ავხსნათ. უკვდავები დროში განუსაზღვრელად ბატონობენ, ხოლო მოკვდავის დროში მოქმედება ყოველთვის განსაზღვრულია.

პოსტმოდერნისტულმა ლიტერატურა დროის მნიშვნელობას ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გაქრობით უპასუხა, რადგან პოსტმოდერნიზმი თავისთავად უარყოფდა წესებს, სწორხაზოვან სიუჟეტს, მომავლის იმედს, შესაბამისად, უარყოფდა დროს, რადგან დრო თავისი არსებობით, მომავალთან ერთად, მის იმედსაც გულისხმობდა. ბეროუზი „შიშველ საუზმეში“ კონკრეტულ დროს და სივრცეს ეწინააღდეგებოდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ამ ყველაფრის ტყვე ისედაც იყო... და წერდა:

„მხოლოდ ტაქსში გავაცნობიერე, რაც მოხდა... დროისა და სივრცის მიღმა ჩამკეტეს... იმ გველთევზას კუდივით, რომელიც სარგასოს ზღვისკენ მიმავალ გზაზე ჭამას აიკრძალავს ხოლმე... გამომაგდეს და გამომკეტეს... ამიერიდან აღარასოდეს მექნება არც ერთი გასაღები, არც სხვა რამის შეხების წერტილი... ამიერიდან შემიძლია მშვიდად ვიყო... ამიერიდან ჰაუსერთან და ო” ბრაიენთან ერთად ნარკომანულ წარსულში დავრჩი, სადაც ჰეროინი ყოველთვის უნცია ოცდარვა დოლარი ღირს და ნებისმიერ დროს შეგვიძლია სოუ-ფოლსის ჩინურ სამრეცხაოში ლომკის ტრიპერი აიკიდო... მსოფლიოს სარკის მიღმა, ყველაზე შორეულ წერტილში ვეშვები... ფრჩხილებით ვკაწრავ ტელეპატიური ბიუროკრატიის – არ ვიცი – როდის – იქნება, დროის მონოპოლია. კონკრეტულ ნარკოტიკებს, მძიმე სითხეზე დამოკიდებულ ნარკომანებს:

– სამასი წლის წინ ვფიქრობდი ამაზე.

– მაშინ თქვენი გეგმის განხორციელება შეუძლებელი იყო. ახლა კი აზრი არ აქვს და ვინჩის დროის მანქანის ამბავია“ [ბეროუზი 2017: 272].

„შიშველ საუზმეში“ დრო არ წარმოადგენს კონკრეტული ამოცანის ამოსახსნელად წამოჭრილ საკითხს, მწერალი ისე წერს, თითქოს დრო არც არსებობდეს. აქ რომანი ერთ მთლიან წამს გამოხატავს, რადგან წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთშია არეული. როგორც აღნიშნავს:

„ნარკომანი საკუთარ დროში ცხოვრობს. სხეული ქვიშის საათია, წამალი კი – ქვიშაა. დროს მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ამას მისი საჭიროება მოითხოვს. აი, მაშინ კი ის მოულოდნელად იჭრება სხვის დროში და როგორც უცხოებისა და მოთხოვნილებების შემთხვევაში ხდება ხოლმე, იძულებულია იდარდოს, თუ არანარკომანულ დროში არ გაიხლართა“ [ბეროუზი 2017 :270].

თუმცა, საბოლოო ჯამში, დრო არის ჩვენი წარმოდგენა იმაზე, რა რის შემდეგ ხდება, რა იყო უფრო ადრე, რა არის და რა იქნება მომავალში. დროის მნიშვნელობა „შიშველ საუზმეში“ გადმოცემულია არა პირდაპირი კავშირებით, არამედ პარალელებით. რომანი სავსეა ბიბლიური მაგალითებით, რომლებიც დროის მნიშვნელობის საკითხს გამოხატავენ.

ბეროუზი წერს: „აგენტი ლი (ორმოცდაოთხი-რვა-თექვსმეტი) წამლით მკურნალობის კურსს გადის... ავბედითი ცნობილი მოგზაურობაა სივრცესა და დროში, როდესაც წამალი ნარკომანს ყოველთვის კუთხეში უსაფრდება... მკურნალობის კურსი, რომელიც წარსულში დარჩა და რომელიც მომავალში იქნება, ნავებით არწევს აჩრდილებს აჩქარებული დროის უხმაურო ქარებში მთრთოლარე, პერსპექტიულ სუბსტანციაში“ ... [ბეროუზი 2017: 274]

ეს მონაკვეთი შეგვიძლია აბრაამის ამბავს მივამსგავსოთ, რადგან ის პირველია ძველი აღთქმის ადამიანთა შორის, ვისი კონკრეტული ნაბიჯებიც ვიცით. ვხედავთ, რომ აბრაამს მუდმივი სამკვიდრო არ აქვს, სულ გზაშია, მოგზაურობს გარკვეული მისიით. ღმერთმა აბრაამს აუწყა, გადასახლებულიყო ახალ მიწაზე, სადაც ის მიიღებდა კურთხევას და დააფუძნებდა დიად ერს (აბრაამს იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ ჰყავდა შვილი). აბრაამმა ირწმუნა ღმერთის დაპირება და დაიწყო თავისი მოგზაურობა სამხრეთით, შეხემისკენ. ბეთელის და ჰაღაი (აი) შორის აბრაამმა ააგო საკურთხეველი (გამ. 12). აბრაამიც დროისა და სივრცის მოგზაურია, რომელიც მომავლისთის იბრძოდა მაგრამ სამყარო მაინც „აღიგავა პირისაგან მიწისა“. ადამიანებმა მაინც გააკრეს ქრისტე ჯვარს, ანუ მომავალი დადგა, დადგა, მაგრამ – პირქუში, მას შემდეგ სამყარო მუდამ განადგურებისკენ ისწრაფვის. ანუ, წარსულიც, აწმყოც და მომავლისთვის ბრძოლაც უფერული და უშედეგოა.

პოსტმოდერნისტული ლიტერატურა და ხელოვნება იმთავითვე გამორიცხავდა კავშირს პირველწყაროსთან, ასე რომ, თითოეული პარალელი წარმოადგენს არა ანალოგს, არამედ ასლის ასლს. ერთ-ერთი ასეთი „ასლით“ ბეროუზი დროის ბიბლიურ მნიშვნელობაზე საუბრობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ პარალელი არა პირდაპირ ძველი აღთქმიდან, არამედ, ამ პარალელზე დაწერილი მოთხრობისგან აიღო, რომელიც შერლი ჯეკსონს ეკუთვნის. მოთხრობა „მარილის სვეტი“ 1948 წელს გამოქვეყნდა, შინაარსის მიხედვით მოქმედება ხდება ნიუ-იორკში, სადაც ცოლ-ქმარი, მარგარეტი და ბრედი, დასასვენებლად მიემგზავრებიან. მიუხედავად იმისა, რომ მარგარეტს თითოეული დღე დაგეგმილი აქვს, დრო ელვის სისწრაფიდ გადის, ისე, როგორც დიდი ქალაქის ტემპს შეესაბამება. მას მალევე ეცვლება განწყობა და იწყებს გაუცხოებას. ერთ დღეს ისინი წავლენ წვეულებაზე მეგობრის სახლში, ნასვამი მარგარეტი ფანჯარას მიუახლოვდება, საიდანაც შეამჩნევს, რომ მას ხელს უქნევენ, ბუნდოვნად, მაგრამ ესმის ფრაზა: „ქალბატონო, ქალბატონო, თქვენი სახლი ცეცხლშია გახვეული“ [Jackson 1948: 78]. მარგარეტი ბრუნდება ოთახში, ცდილობს ყველა გააფრთხილოს, მაგრამ მას არავინ უსმენს, შემდეგ კი შეშინებული გამორბის ქუჩაში; იხედება უკან და ხედავს ცეცხლში გახვეულ შენობას. ეს პირველი შიშია, ნელ-ნელა სხვა ფაქტორებიც

ემატება და მოთხრობის ბოლოს მარგარეტი პარალიზებული, გაქვავებული და თითქმის შეშლილი რჩება. სათაურიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ „მარილის სვეტი“ უკავშირდება ბიბლიურ პარალელს, კერძოდ კი, ლოტის ცოლის ამბავს: როდესაც ლოტს უფალი გამოეცხადება და მოსალოდნელი უბედურების შესახებ აუწყებს, ლოტი გაიყვანს ოჯახს ქალაქიდან: „

„24. აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან.

25. დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი.

26. უკან მოიხედა ლოტის ცოლმა და იქცა იგი მარილის სვეტად (დაბადება, თავი მეცხრამეტე)“.

სათაურის გარდა სიმბოლურია ისიც, რომ ბიბლის მიხედვით ცეცხლის წვიმა ორ ქალაქს, სოდომსა და გომორს დაატყდა თავს, ისევე, როგორც ჯეკსონის მოთხრობაში გაჩნდა ცეცხლი ორ შენობას შორის.

ბეროუზი ამ პარალელზე წერდა: „ახალგაზრდა დოლინჯერი პირდაპირ სახლიდან გამოვიდა და უკან არასოდეს მოუხედავს...“

„უკან არასოდეს მიიხედო, პატარავ... თორემ რომელიღაც ბებერი ძროხის სატლეკ ქვამარილად იქცევი“ [ბეროუზი, 2017: 283].

„შიშველ საუზმეშიც“ პერსონაჟი სახლიდან გამორბის, ისევე როგორც მარგარეტი და ლოტის ცოლი, თუმცა ლოტის ცოლმა უკან მიიხედა არა სახლიდან გამოსვლის, არამედ სოდომის დატოვების დროს. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ჯერ იმოწმებს ჯეკსონის მოთხრობას, სადაც მარგარეტი სახლიდან გამოსვლისთანავე იხედება უკან, რომლის შემდეგაც იწყება მისი პარალიზება. მართალია, ეს დროში უფრო გაწელილია და მაშინვე არ ხდება, მაგრამ მოთხრობის ბოლოს ქალიც ისეთივე უმოქმედოა, როგორაც ძველ აღთქმაშია მოხსენიებული, რა თქმა უნდა, ავტორი არ აკეთებს ბიბლიური მაგალითის ასლს, ის, უბრალოდ, პარალელს ავლებს მოთხრობის სათაურსა და ბიბლიურ სიუჟეტს შორის.

თუ ბიბლიას შევხედავთ ისე, როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ლოტის ცოლის ამბავი არ ემყარება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ის ღვთის სიტყვას არ დაემორჩილა, დაისაჯა და ყოველი მოწინააღდეგე მის გზას გაიზიარებს. ლოტის ცოლის უკან მიხედვა არა დაუმრჩილებლობის გამოხატვას, არამედ წარსულისკენ მიბრუნებას ნიშნავდა, რომელიც აუცილებად აქცევს ადამიანს უძრავად, რადგან მას წინსვლა, ანუ მომავლის დანახვა და აშენება აღარ შეეძლება. თავად ლოტი და მისი შვილები კი სწორედ ამ მომავლისკენ აგრძელებენ გზას. ანუ უკან მიხედვა არის წარსული, შემობრუნება და გზის გაგრძელება კი – მომავალი, ხოლო მარილის სვეტად გადაქცევა არის აწმყო,

რომელიც ნებისმერ წამს შეიძლება გარდატყდეს რომელიმე სხვა დროდ. ბეროუზის პარალელით, არც წარსულში ჩარჩენა ჩანს, არც მომავლისკენ გზის გაგრძელება და არც მარილის სვეტად გადაქცევა, რადგან მისთვის არც ერთ მათგანს არ აქვს მნიშვნელობა.

პროფესორი ჰილის მილერი განიხილავს დროის საკითხს ლიტერატურაში და ამბობს: „ეჭვგარეშეა, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებში შეიძლება აისახოს დროის ფილოსოფიური, თეოლოგიური ან მეცნიერული გაგება, რომელიც მათი დაწერის ეპოქაში იყო გავრცელებული. ბევრი ნაშრომი მიეძღვნა ამ კავშირების დემონსტრირებას (სხვა საკითხია, დამაჯერებლად თუ არა), მაგალითად, ბერგსონის ზეგავლენას ვირჯინია ვულფზე.

თუმცა მეცნიერები და ფილოსოფოსები სხვადასხვაგვარად გაიაზრებენ დროის არსს, მათი მიზანია დროის უნივერსალური და მაქსიმალურად მწყობრი დეფინიციის შემუშავება მეცნიერული ან ლოგიკური მეთოდების მეშვეობით. ამის საპირისპიროდ, ლიტერატურული ნაწარმოებების დრო განსაკუთრებულია, ინდივიდუალური. თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქრონოლოგიური რიგით დავალაგებთ, დროის არსი უფრო მკაფიო როდი გახდება, თუმცა, სწორედ ამას ისახავენ მიზნად დროის მეცნიერული თეორიები. შექსპირის დრო განსხვავდება ფოლკნერის დროისგან და არც ერთი მათგანი არ წააგავს იეიტსის დროს. ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში – და თვით ერთი და იმავე ავტორის ქმნილებებშიც – დრო სხვადასხვაგვარადაა გააზრებული [Miller 2003: 87].

დროის საკითხი ბეროუზის შემოქმედებაში ინდივიდუალური და თავისებურია, რომელსაც არაერთი ბიბლიური პარალელით იმოწმებს. ბიბლია კი, თავის მხრივ, ერთგვარი პასუხია დროის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. „შიშველი საუზმე“ კი, როგორც პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, წარმოადგენს პასუხის პასუხს უძველესი დროიდან იმ პერიოდამდე წამოჭრილ პრობლემებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეროუზი, უილიამ. *შიშველი საუზმე.* თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2017.
2. *ბიბლია*, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი. 2009.
3. ნეტარი ავგუსტინე. *„აღსარებანი“*, 5 თებერვალი, 2019 (http://www.orthodoxy.ge/deleted/avgustine/agsarebani11.htm).
4. Jekson, H. Shirly. *The Lottary and Other Stories.* New York: Criwell Collier Press, 1948.
5. Miller, J. Hillis “Time and Literature”. *Deadalus,* Vol. 132, No. 2, *On Time* (Spring, 2003): 86-97.

Problem of time in William Burroughs' "Naked Lunch" (Biblical paralels)

Ketevan Khokhiashvili

PhD student, American Studies, Ivane Javakhishvili Tvilisi State University

Abstract

In the literature and art of twentieth century, the problem of space and time occures sharper then ever. In "Naked Lunch" of William Burroughs time aspect is one of the most important issues. However, as it is charachteristic for post-modernist literature, the author beffles readers. "Naked Lunch" consists of not one, but numers of Biblical paralels, which are presented chaotidy and each part is connected to the frame of time. As Burroughs mentions: "The addict runs on junk time. His body is his clock, and junk runs though it like an burglass. Time has meanin for him only with reference to his need. Then he makes his abrupt instrusion into the time of others, and, like all Outsiders, all Petiotioners, he must wait, unless he happens to mesh with non-junk time".

Though, the author does not speak about existance of any specific time, because time is straightforward. Past, present and future is smushed into each other and by that coexist in one second. So, occures a quection, which one of those "time: does really exist? As St Augustine says: "according to Bible time is strighforwar and finishable". But, however, time needed measurment. How should we measure it's duration and longevity? Where does this long and short time period exist? In past? But it does not exist any more. In future? But it still not here. How could this two time exist if the firs one does not excist any more and second one is still not here? If present would always stay as resent and do not transfer in to past, it would not be time but- infinity.

But, everything that happens is part of the future and anything that will happen in future is the past. Problem of time is most importan issue in "Naked Lunch".

Burroughs connects the meaning of the time by numerous Biblical paralels.